

საპარტეზო სსრ ფინანსთა საბაზოთა არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბაზოთა ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1974 წ.
№ 85 30 პარილი,
(5115) 30 საფაზათი.
ფასი 8 აპპ.
გაზეთი გაგოდის
1984 წლის
18 პარილიდან



ისევ დამაბუითს დროში

ლენინგრადი, 27 პარილი. უმაღლე-
სი ლივის კალათბურთულ ქალთა სა-
კავშირო ჩემპიონატის მატჩებიდან
დღეს ყველაზე დაძაბული გამოდგა
მოსკოვის ოლქის „სპარტაკისა“ და
„სებრა ი მოლოტის“ (მოსკოვი) შენ-
ველა.

ყველასთვის მოულოდნელად, ტაიმი
„სებრა ი მოლოტის“ კალათბურთულ-
მა მოიგეს — 38:31. შესვენების შე-
მდე სპარტაკელებმა გამოასწორეს
მდგომარეობა. თამაშის ძირითადი დრო
დამთავრდა ფრედ — 77:77. ბრძოლის
ბედი დამატებით ტაიში გადაწყდა.
გაიმარჯვეს მოსკოვის ოლქის კალათ-
ბურთულმა — 85:83.

ასევე დაძაბული გამოდგა კიევის
დინამოელთა მატჩი ალმა-ათის „უნი-
ვერსიტეტთან“. გამარჯვებული ამ შე-
ხვედრაშიც ბოლო წუთზე უსტად შე-
სრულებულმა ერთმა სროლამ დასა-
ხელა. ქულა კიევის „დინამო“ მი-
იღო — 84:82 (39:39).

ჩემპიონატის ლიდერმა — ლენინგ-
რადის „სპარტაკმა“ შედარებით იო-
ლად მოუგო ფრუნსეს „სტროიტელს“
— 80:51 (38:25). გაიმარჯვა სვედ-
ლოვსკის „ურალმაშმა“. ამჯერად მან
მოსკოვის „სპარტაკი“ დაამარცხა. —
81:59 (37:32).

ქულა აიღო ტბტ-მაც. მოსკოვის
დინამოელებს ლატვიელმა კალათბუ-
რთულმა მოუგეს ანგარშით 60:52
(40:30). ვილნიუსის „კიბორცისმა“
დაამარცხა ლენინგრადის „ბურვესტ-
ნიკი“ — 67:48 (37:21).

გათამაშების ცხრილი 28 პარილისთ-
ვის, 31 თამაშის შემდეგ ასეთია:


„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	26
„ურალმაში“ (სვედლოვსკი)	24
ტბტ (რედა)	23
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	22
„დინამო“ (კიევი)	21
„დინამო“ (მოსკოვი)	19
„უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა)	12
„კიბორცისი“ (ვილნიუსი)	12
„ბურვესტნიკი“ (ლენინგრადი)	8
„სტროიტელი“ (ფრუნსე)	7
„სებრა ი მოლოტი“ (მოსკოვი)	6
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	5

„სპარტაკი“ ჩემპიონი

ლენინგრადი, 28 პარილი. აღ-
გობობის „სპარტაკმა“ საკავ-
შირო ჩემპიონატის დამთავრებამ-
დე 2 ტურით ადრე მოიპოვა ოქ-
როს მედლები. ეს ცნობილი გახდა
მას შემდეგ, რაც ნევისპირელთა
მთავარმა მეტოქემ — სვედლო-
ვსკის „ურალმაშმა“ წააგო პირნი-
კული მატჩი რიგის ტბტ-სთან —
52:65 (28:33), ლიდერთა კი დაძა-
ბულ ბრძოლაში კიევის „დინამო“
დაამარცხა — 77:68 (41:39). „სპარ-
ტაკი“ წლეულს პირველად გახდა
სსრ კავშირის ჩემპიონი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა სპორტში

ორთაბრძოლა არ შედგა



3. ალექსანდრი

მაყურებლისთვის ყველაზე საინტერესო
ლოცვით მოცული ქვეყნებში წონა იყო.
ბოლო წლებში ამ წონაში ნამდვილი
ფავორიტი დ. რიგერტი გახლდათ.
თბილისელები დაუსწრებლად იცნობდ-
ნენ ამ შესანიშნავ ათლეტს, რომელ-
საც არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება
უხეიამა და მსოფლიო რეკორდებიც
დაუმყარებია როგორც ჩვენში, ისე სა-
ზღვაგარეთ. მათ ამჯერადაც ვერ იშ-
ილეს თბილისის ცირკის ფიციანაგზე
რიგერტი, ვინაიდან იგი ამას წინათ
ერევანში, „მეგობრობის პარისის“ გა-
თამაშებაში დამაჯდა და ექიმებმა ჩემ-
პიონატში სასპარტაკოდ არ დაუშვეს.
ბუნებრივია, ჩემპიონის ტიტული ვა-
კანტური ღარა. გულმემატიყრეები
სულ სხვადასხვა ათლეტს უწინასწარ-
მეტყველებდნენ გამარჯვებას. სამ სა-
ათზე მეტ ხანს გაგრძელდა ძაღოსანთა
შეჯიბრება და მხოლოდ ბოლო წამზე
გადაწყდა ჩემპიონობის ბედი. ეს მასში
მოხდა, როცა ე. პენკოვსკიმ 212,5 კგ
ვერ აპარა. თუმცა, მიყვებულ შეჯიბრ-
ების მსვლელობას თანხმდებოდა.


ატაკი ქვეყნების წინააღმდეგობა დაამარ-
ჯებლად ვერ შეასრულეს. შეცდომებს
უშვებდა ყველა, უმარჯვებობას კი
შედეგადი მხოლოდ ერთი ცდა აქონდა.
მათ შორის იყვნენ ცნობილი ძაღოს-
ნები: მებრძოლი ოლიმპიადის ჩემპიონი
ბ. სელიცკი, მსოფლიოს ექს-რეკორდ-
სმენები ე. პენკოვსკი, ფ. ნანიევი, აგ-
რეფეა ვ. კოლოტოვი და ვ. შარიი.
ყველა შემთავსებელში ათლეტი
მხოლოდ მესამე ცდაზე ძლიერდა წინას.
სხვებზე დამაჯერებლად გამოვიდა ატა-
ცში ს. პოლტორაცკი, რომელმაც
165 კგ. აიგუნა.

აკრაში, როგორც ველოსაბედისტები
იტყვიან ხოლმე, დაიწყო სალიდერო
ბრძოლა. როცა მტანგის წონამ 200 კგ-ს
მიადწია, ფიციანაგზე გამოვიდა პო-
ლტორაცკი და დაძაბა კიდევც ეს წო-
ნა. მართალია, ამ მომარბაში მან
მეტე ვერ შეძლო, მაგრამ ორჯერ
365 კგ დააგროვა და ახლა ყურადღე-
ბით აღდგინდა თვალს მეტოქეთა ას-
ბარებობას. მისდა საბედნიეროდ, მე-
ტოქეები ვერ ბრწყინდებდნენ. მაგალით-
ოდ, შარიი 197,5 კგ დაძაბა, ნანიე-
ვამა — 195. კოლოტოვიც შეეცადა
პოლტორაცკის დასწვოდა. 207,5 კგ
რომ ეჩვენებინა, მიადწვდა კიდევ
მიზანს და, ვინაიდან წონით უფრო
მსუბუქი იყო, გამარჯვების იმედიც უნ-
და აქონდა. ასეთი შედეგი ჯერ კიდევ
ცოტა ხნის წინათ კოლოტოვისთვის
პრობლემა არ იყო. მას რამდენიმე
მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული
სწორედ აკრაში, ახლა კი ამოყაბა
ვერ შეასრულა. საბოლოოდ ორჯერ
360 კგ დააგროვდა.


პენკოვსკიმ ჯერ 207,5 კგ აპარა და
ბოლტორაცკის დაეწია, ხოლო შემდეგ
უფრო მეტი მოინდომა: 212,5 კგ მო-
ითხოვა. ეს წონა მან მეტრადმაც
აიტანა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძ-
ლო.

ამრიგად, ჩემპიონის ოქროს მედალი
პირველად მოისვენა პოლტორაცკი.
II ადგილზე გავიდა პენკოვსკი, III
— კოლოტოვი.

მომე წონის ძაღოსანთა შეჯიბრების
ფინალი სასურდა ჰგავდა წინა წონის



ს. პოლტორაცკი



8. უსტიშინი

9. ზარგარიანის ფოტოები

ბეზარჯვეულები...

ტაშვანტი, 28 პარილი. დღეს
აქ დამთავრდა სსრ კავშირის თა-
სის გათამაშება აკრობატიკაში. სა-
ბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალა-
ქის უძლიერესი სპორტსმენები რა-
დენიმე დღეს იბრძოდნენ გამარჯ-
ვების მოპოვებისთვის. ქალთა წყვი-
ლებში ტოლი არ ჰქონდა მოსკო-
ველებს ნ. ბაბკინასა და ე. მაზუ-
ნოვას, ქალთა ჯგუფურ ვარჯიშე-
ბში იმარჯვეს ტ. დუბრაინამ, ლ.
გულიაევამ და ტ. საბლინამ (ყვე-
ლა — ტოლიატი), აკრობატულ
ბტომებში — ვ. ჩუხარევამ (სტა-
როპოლი). ამ უკანასკნელმა შეა-
სრულა უნიკალური ორმაგი ძალა-
ყი პირუტყით, რომელიც აქამდე
მხოლოდ აკრობატიკა ვარჯიშისთვის
თუ იყო ხელმისაწვდომი.

გაფთა წყვილებში თასი მოიპო-
ვეს ვოლოგოდელმა ვ. ხაზა-
როვამ და ვ. ალიმანოვამ, შერულ
წყვილებში — გ. საველიევამ და ი.
საველიევამ (ორივე — სვედლო-
ვსკი), აკრობატულ ბტომებში —
მინსკელმა ი. ზიკუნოვამ, ჯგუ-
ფურ ვარჯიშებში — ი. ზოლოტო-
ვამ, შ. ვილდანოვამ, ა. მაკაროვამ
და ვ. სლეპოკოვოვამ.

კოვენტრის ცისფარ ბილიკეზე


ინგლისის ამ ქალაქის აუ-
ში გაიმართა მოცურავეთა დიდი
საერთაშორისო ასპარეზობა, რომე-
ლიც საბჭოთა ოსტატების გამარჯვე-
ბით დამთავრდა. საბჭოთა მოცურა-
ვეებმა 29 ნომრიდან 11-ში გამარჯ-
ვება მოიპოვეს და 171 ქულა დააგ-
როვეს. II ადგილზე არიან გფრ-ის
წარმომადგენლები — 146 ქულა,
III — პოლანდიელები — 134. შე-
ჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე,
მასპინძელთა, იტალიისა და შვეიცის
წარმომადგენლები.
საბჭოთა სპორტსმენებისთვის გან-
საკუთრებით უხვმოსავლიანი გამოდგა

ასპარეზობის მეორე, დასკენითი დღე-
8. მათიუტინამ იმარჯვა 200 და
400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.
მისი შედეგებია 2:28,75 და
5:09,96. ლ. რუსანოვამ ყველას აჯო-
ბა ბრასის სტილით 100 მეტრზე
ცურვაში — 1:16,39. ა. სამსონოვი
პირველი იყო თავისუფალი სტილით
400 მეტრზე შეჯიბრებაში — 4:06,33,
ხ. ზასაროვმა მოიგო 400 მეტრზე
კომპლექსური ცურვა — 4:40,60.
საბჭოთა გუნდის გამარჯვებით და-
მთავრდა თავისუფალი სტილით
4x200 მეტრზე ესტაფეტაც —
7:51,45.

სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტი

მოსკოვი, 27 პარილი. გაიმართა
სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტე-
ტის პრეზიდიუმის სხდომა, რომ-
ელმაც მოიხილა აკადემიური
ნიმუხის საკავშირო ფედერა-
ციის თავმჯდომარის, ნიმუხის
საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-
პრეზიდენტის ე. კაბანოვის მოს-
ხენება საერთაშორისო ორგანიზა-
ციაში საბჭოთა წარმომადგენლო-
ბის მოღვაწეობაზე.

სსრ კავშირის ოლიმპიური კო-
მიტეტის პრეზიდიუმის წევრთა
გამოსვლებში აღინიშნა რაბინშთან
შემდგომი ბრძოლის აუცილებლობა,
ოლიმპიურ ჭარბიში მოცემული
პრინციპების დაცვა. მაღაგაში
გამართული სპორტული პრესის სა-
ერთაშორისო ასოციაციის საიუბი-
ლეო კონგრესის მუშაობის შესახებ
დამსწრეთ ესაუბრა გაზეთ „სოვეტ-
სკი სპორტის“ მთავარი რედაქტო-
რა ნ. კისლიოვი.



● ბიზინოვი, 28 პარილი.
მოლოდენის მძლეოსანთა თასის
გათამაშებაში ზაპოროვიელმა ვ.
დმიტრიენკომ ურო 72 მეტრსა და
32 სანტიმეტრზე ტყორცნა. ეს
შედეგი საუკეთესოა წლეულს
მსოფლიოში.

● ბლაზოვი, 28 პარილი.
ხელბურთულ ვაჭთა საკავშირო ჩე-
მპიონატის მორიგ ტურში მოსკო-
ვის საავიაციო ინსტიტუტის გუნ-
დმა დაამარცხა ტაშვანტის ფიზ-
კულტურის ინსტიტუტის კოლექ-
ტივი — 31:20. ცსკა-მ დაძაბულ
ბრძოლაში სძლია ზაპოროვიის
მეტალოურგის ინსტიტუტის ხელ-
ბურთულს — 16:15. დანარჩენი
მატჩები ასეთი შედეგებით დამ-
თავრდა: ასკ (კიევი) — ზაპო-
როვიის ზას-ი 21:20, „კუნცევი“
— „ბურვესტნიკი“ (თბილისი)
21:18. გათამაშებას ლიდრობენ
მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის
სა და ცსკა-ს გუნდები, რომლებ-
საც 16-15 ქულა აქვთ.

ბრაუნსი

ბრაუნსი, 28 პარილი. „დუ-
ნაის თასზე“ ავსტრიის ამ ქა-
ლაქში გაიმართულ ძაღოსანთა
ასპარეზობაში 2 მსოფლიო რე-
კორდი დაამყარა ბულგარელმა
ქვეყნებში წონის ათლეტმა ა.
ნიკოლოვმა, რომელმაც აიტა-
ცა 172,5 კგ, ხოლო ორჯერ
დააგროვა 382,5 კგ. ძვილი
მსოფლიო რეკორდები საბჭო-
თა ძაღოსანს დ. რიგერტს
ეკუთვნოდა.

საუკეთესონი...

რამდენიმე დღეა თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება დედაქალაქის მოსწავლეთა XXX სპარტაკიად. სპორტულ სახეობებში შეჯიბრებები დამთავრდა. კალინინისა და 26 კომისიის რაიონების ბავშვთა სპორტსკოლების ხარბილებზე თბილისის რვავე რაიონის კალათბურთელები გამოვიდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ასპარეზობა განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა უფროს ასაკში. ორჯონიძის რაიონის გოგონებმა აღმავლობით ჩაატარეს ყველა მესვერე და ფინალში დიდი ანგარიშით — 60:35 დამარცხეს ძლიერი მეტოქე — ლენინის რაიონის მოსწავლეთა კოლექტივი. სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა გამარჯვებულ გუნდის წევრმა მ. ნიკოლაიშვილმა, რომელმაც ამ დღეს თავის კოლექტივს 18 ქულა შეხვინა. გარკვეული თანხებით გამოირჩეოდა აგრეთვე გ. ელოვა (ლენინის რაიონი).

III ადგილი წილად ხვდათ 26 კომისიის რაიონის სპორტსკოლებს.

ჭაბუკები ფინალური დავა ლენინისა და ოქტომბრის რაიონების კალათბურთელებს შორის გადაწყდა. 73:68

ასეთი ანგარიშით მოიგეს ეს შეხვედრა ლენინის რაიონის სპორტსკოლებმა. III ადგილზე კალინინის რაიონის მოსწავლეები გავიდნენ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შ. ბატურაძის (კალინინის რაიონი) და რ. რაჭველიშვილის (ლენინის რაიონი) თამაში. საინტერესოა ითქვას, რომ შ. ბატურაძემ არის წარსულში ცნობილი კალათბურთელის, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშის გ. ბატურაძის ვაჟი. როგორც ხედავთ, შეიძლება მამის გვალს გააყვად და არც თუ ურიგოდ.

საშუალო ასაკში საპირისპო ადგილები ასე განაწილდა: გომრეში. I: 26 კომისიის რაიონი, 2. კალინინის რაიონი, 3. საქარხნო რაიონი, შპსპში. I. ოქტომბრის რაიონი, 2. კალინინის რაიონი, 3. ორჯონიძის რაიონი.

საკუთესო ტექნიკური მოთამაშეები — ასე უწოდა მოთამაშე მსაჯმა, საკუთესო კატეგორიის მსაჯმა გ. გუგუშვილმა საშუალო ასაკის ჭაბუკებს რ. გარუჩავას (ოქტომბრის რაიონი) და გ. ძიძიურს (ლენინის რაიონი). გარუჩავას ტექნიკურად დახვეწილ თა-

მაშს დიდად უწყობს ხელს, აგრეთვე, სიმალდე (204 სმ), რაც ესოდენ მნიშვნელოვანია კალათბურთელისთვის.

უმცროსი ასაკის გოგონათა შორის I ადგილზე არიან პირველი მაისის რაიონის (მე-100 სკოლა) წარმომადგენლები, II — კალინინის რაიონის (43-ე), ხოლო III — 26 კომისიის რაიონის (85-ე) სპორტსკოლები.

ბიჭების პირველობის ფინალში ორ-

ჯონიკიძისა და კალინინის რაიონების გუნდები შეხვედნენ ერთმანეთს. ბრძოლა დაძაბულად წარიმართა და ბოლო წუთებში მატჩი მოიგეს ორჯონიძის რაიონის წარმომადგენლებმა ანგარიშით 25:23. III ადგილი ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლებმა მოიპოვეს, რომლებმაც მინიმალური ანგარიშით — 29:28 დამარცხეს 1-ლი მაისის რაიონის სპორტსკოლები.

საერთო გუნდური გამარჯვება 25 ქულით წილად ხვდათ კალინინის რაიონის კალათბურთელებს, II ადგილზე არიან ლენინის რაიონის (23 ქულა),

ხოლო III — 26 კომისიის რაიონის (22 ქულა) კალათბურთელებმა. რომ წარმადელი სპარტაკიადის ჩემპიონი ორჯონიძის რაიონი წლეულს საპირისპო ადგილებს მიღმა დარჩა. ძალიან სუსტად იასპარეხეს კიოვის რაიონის კალათბურთელებმა.

შემდეგ დაკომპლექტდა გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადში.

ც. ძინიხტარიშვილი.

გაერთიანებული... ვებოქაუბი

თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მეორედ მასპინძლობდა ქალაქის აკრობატიკის ბავშვთა სპორტსკოლა. ამ სკოლის სპორტდარბაზი ასპარეზობდა უკარგი-სია შეჯიბრებების ჩასატარებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისულ აკრობატებს უკეთესი საასპარეზო არ მოეპოვებინათ.

ეს სპორტსკოლა, რომელიც ოქტომბრის რაიონში, მონტინის ქუჩაზე მდებარეობს, ლენინის რაიონის ეახლებდა. სწორედ ამ რაიონის რაიონის კოლექტივებს შორის გაჩაღდა გამარჯვების ბრძოლა. ისინი ბევრად სჯობდნენ სხვებს. საბოლოოდ გამარჯვება ლენინის რაიონის მოსწავლეებმა იხვეწეს — 488,715 ქულა. II ადგილზე გავიდნენ ოქტომბრის (471,05 ქულა), ხოლო III — 26 კომისიის (388,10) რაიონების წარმომადგენლები.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ორჯონიძისა და საქარხნო რაიონების მოსწავლეები. დანარჩენმა რაიონებმა ვერ შეძლეს გუნდების გამოყვანა. სრული გუნდი ვერც გამარჯვებულმა კოლექტივმა გამოიყვანა. ამიტომ ხშირად შეჩერდნენ და ვერც შეძლეს გუნდების გამოყვანა. სრული გუნდი ვერც გამარჯვებულმა კოლექტივმა გამოიყვანა. ამიტომ ხშირად შეჩერდნენ და ვერც შეძლეს გუნდების გამოყვანა.

შეჯიბრების შემდეგ საქართველოს აკრობატიკის ფედერაციის თავმჯდომარე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. ქელესიანის მიერ გატარდა კვალიფიკაციის კურსი. მას მონაწილეობა მიუღია. მას მონაწილეობა მიუღია.

შეჯიბრების შემდეგ საქართველოს აკრობატიკის ფედერაციის თავმჯდომარე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. ქელესიანის მიერ გატარდა კვალიფიკაციის კურსი. მას მონაწილეობა მიუღია. მას მონაწილეობა მიუღია.

ა. გურასაშვილი.

გათავისობთ პრიზიორთა ტექნიკურ მედეგებს:

ვიკონიანი. ბ. ბ. ვიკონიანი — 45,5 ქულა, ვ. სტეპანოვი (ორივე) — 26 კომისიის რაიონი — 43,9, ნ. ხიდამელი (ლენინის რაიონი) — 43,1.

ვახუშაძე. ლ. ვახუშაძე — 41,4 ქულა, თ. ჭიჭინაძე (ორივე) — ოქტომბრის რაიონი — 37,8, ნ. ხორბალაძე (ლენინის რაიონი) — 37,8.

ვახუშაძე წყვილები. ვ. კალანდარიშვილი (ლენინის რაიონი) — ნ. თეოდორიძე (ოქტომბრის რაიონი) — 43,9 ქულა, ვ. ვაგინოვი — ე. ვახუშაძე (ორივე) — 26 კომისიის რაიონი — 36,8, თ. ნელიძე — ნ. ხუციშვილი (ორივე) — ლენინის რაიონი — 33,0.

ჯამჯამური პარჯიშვილი. 1. ვ. გურგენიძე, შ. ტრაპაძე, ა. მავრანკელოვი, გ. კაკაშვილი, 2. ს. მკრტიანი, ვ. როსტევენი (ორივე) — 26 კომისიის რაიონი, ე. თურქაძე (ლენინის რაიონი), მ. კერძალავი (ოქტომბრის რაიონი), 3. თ. ხაჩატურიანი, ვ. ავაქიანი, ვ. პანიხარიანი, ა. ხანკალაიანი (ყველა — ოქტომბრის რაიონი).

სურათზე: ქალაქის სპორტსკოლაში გამარჯვებული ოთხეული ასპარეზობისას. ავტორის ფოტო.



ახალი რაიონის ორბები ნაკრები

კვირის თბილისის ქუჩებში მოეწყო მძლავრი კონკურენცია „ქალაქის წრე“, რომელიც მძინარეობდა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში. წინა ამგვარ შეჯიბრებებში განსხვავებით, როცა სპორტულ დედაქალაქის საფრთხით, უმალესი სასწავლებლების, ტექნიკური და სპორტული კოლექტივები გამოდიოდნენ სლომი, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა ამჯერად სპორტული მსოფლიო რაიონების მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს დაუთმო, რაიონების სპორტკომიტეტებს კი დაავალა სტარტზე გამოყვანა 2-2 კოლექტივი, რომლებშიც საქართველოს ნაკრები გუნდის სპორტსმენები არ იქნებოდნენ.

სტარტი და ფინიში ლენინის მოედანზე მოეწყო. 6000 მეტრზე მეტი სიგრძის დისტანცია დაყოფილი იყო 21 ეტაპად. გოგონებს ესტუმრა ექვს ეტაპზე უნდა ეტარებინათ.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის გარდამავალი თაისისა და პირველი ხარისხის დიპლომისთვის სამრძოველად II გუნდი შეერგო. 2-2 კოლექტივი მხოლოდ I მაისის, ლენინისა და საქარხნო რაიონებმა გამოიყვანეს, ფინიშიამდე კი საბოლოოდ შეიძინა ნაკრებმა მიაღწია. ლენინის რაიონის ორივე კოლექტივი, I მაისის რაიონის მეორე გუნდი და ორჯონიძის რაიონის წარ-

მომადგენლები ასპარეზობას გზადედა გამოეწვივნენ.

სახელმწიფო ავტონისპექციის მ. დანაყოფის შრუნი, რომელსაც შ. გიორგაძე და უ. მიხილაშვილი ხელმძღვანელობდნენ, შეჯიბრება კარგად ჩატარდა. ამ ასპარეზობაში ყველას აქონეს საქარხნო რაიონის სპორტსმენებისა.

თავიდანვე ამ რაიონის პირველი ნაკრების წევრი ს. ბელიკოვა დაწინაურდა. თანაგრძობელმა მისი მონაპოვარი თანდათან გაზარდეს. საბოლოოდ გამარჯვება ამ კოლექტივს დარჩა — 18.50,0. II ადგილზე გავიდა კიოვის რაიონის ნაკრები — 19.58,4, III — საქარხნო რაიონის მეორე გუნდი — 20.04,0.

საქარხნო რაიონის პირველი კოლექტივის გამარჯვებამ ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს 108-ე სკოლის (დირექტორი თ. ხმალავა, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. იაკვერი) აღსაზრდელებმა. გუნდში ამ სკოლის 13 მოსწავლე გამოდიოდა.

ო. ვალაშვილი.

სურათზე: ესტუმრა გზადედა ნაკრების წევრები ესტუმრები ცაქაშვილის ერთ-ერთ მომენტში.

ალექსანდრე ბერუაშვილი — საქართველოს ჩემპიონი

კასპში დამთავრდა რუსულ შაშვი სპორტული ვაჟთა XXV პირველობის ფინალი. ვაჟთაშობთ შედეგები:

I. ა. ბერუაშვილი (თბილისი) — 10,5 ქულა, II. მ. კოკოვი (ცხინვალი) — 9,5, III. გ. კურდელი (ფოთი) — 9, IV. მ. მინკო (გროდნო, თამაშობდა უკონტროლოდ) — 8,5, V. ვ. პავლიაშვილი (კასპი) — 7,5, VI. ნ. პასლაჟიანი (თბილისი) — 6,5, VII. გ. თედორაძე (მათუმი) — 6,5, VIII. თ. ბარამიძე — 6, IX. რ. გოგოლაძე (ორივე) — თბილისი — 6, X. მ. ცაბუტაშვილი (რუსთავი) — 5,5, XI. მ. კურდელი (თბილისი) — 5, XII. ა. ყაზარაშვილი (კასპი) — 5, XIII. მ. ტყეშელაშვილი — 4, XIV. რ. ბარკალაია (ორივე) — ფოთი) — 1,5.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდნენ შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატი ბარამიძე, ოსტატობის კანდიდატი — თბილისის ჩემპიონი ბერუაშვილი და კოკოვი. მ ტურის შემდეგ ბერუაშვილსა და კოკოვს 8,5-8,5 ქულა ჰქონდათ, ბარამიძეს — ნახევარი ქულით ნაკლები.

სამწუხაროდ, ბარამიძე IX ტურადან საპატიო მიზეზით გამოეთიშა ბრძოლას. დარჩენილ სუთ პარტიაში მას წაგება ჩაეთვალა.

ჩემპიონობის ბედი XI ტურში ბერუაშვილისა და კოკოვის შეხვედრაში გადაწყდა. თბილისის ჩემპიონმა კარგი სტილით გაიმარჯვა.

ახალგაზრდა ჩემპიონმა მ შეხვედრა მოიგო და 5 ყაიმით დაამთავრა. ეს შესანიშნავი შედეგია. ბერუაშვილმა კარგად იცის დებიუტების თეორია, პოზიციური ბრძოლის საფუძვლები. მას რვა წელია აგარჯიშებს გამოცდილი მწვრთნელი, ოსტატი ს. პასლაჟიანი.

თვალსაზრისით წარმატებას მიაღწიეს, აგრეთვე, კოკოვი და შეჯიბრების ყველაზე უკრძალვიანი მონაწილე, 15 წლის კურდელიანი.

მომავლები სავანებო პრიზებითაც დაჯილდოვდნენ. მაგალითად, კოკოვი მიიღო პრიზი პირველ სუთ, ბერუაშვილმა — ხალი სუთ ტურში საუკეთესო შედეგებისთვის.

რუსულ შაშვი სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი ოქტომბერში კალინინგრადში გაიმართება. იქ მიმავალი არიან შარშანდელი ჩემპიონატის სამი პრიზიორი, მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონები. ამ დიდ შეჯიბრებაში ბერუაშვილიც მიიღებს მონაწილეობას.

ა. სარგიაშვილი.

ენერგომომარაგების ძალა

ბოლო წლებში თბილისის მეტროპოლიტენის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის დახერხვა-განვითარებას. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ახლანდელი დასრულებული სპარტაკიადი, რომელიც სამ თვეს გაგრძელდა.

სპარტაკიადში მეტროპოლიტენის 10 დისტანციის 300-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა.

პროგრამაში 6 სახეობა იყო. მოქალაქეთა შეჯიბრებაში I ადგილი ენერგომომარაგების დისტანციის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ტყვიის სროლაში უძლიერესი იყო კავშირგაბმულობისა და სივანოლაიციის დისტანციის კოლექტივი. მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჭობეს ელექტროდებოლებმა. კალათბურთსა და ფრენბურთში ესკალატორების დისტანციის სპორტსმენებმა იმარჯვეს. მოთამაშეთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ გვირაბების

დისტანციის თანამშრომლები. ახალგაზრდებისთვის სტიმულის მიმცემი იყო კავშირგაბმულობისა და სივანოლაიციის დისტანციის უფროსის მოადგილის რ. გომიტიშვილის, სამაქროს უფროსის ნ. ჩახთაიას, თ. გივალის, შ. ჩუბინიძის, თ. დოლოძისა და სხვათა საბრძოლველ გაშროსება.

კარგი მაჩვენებლები ჰქონდით ზენიკალ რ. მუხაგვერდელს, სივანოლაიციისა და კავშირგაბმულობის მექანიკოსს რ. სიმონიშვილს. მოხალადა 12 მეორე და 62

მესამე თანრიგის სპორტსმენი. 20-ზე მეტმა მუშა-მოსამსახურემ ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივი.

გუნდური I ადგილი ენერგომომარაგების დისტანციის კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილზე არიან ესკალატორების დისტანციის წარმომადგენლები, ხოლო III — ელექტროდებოს სპორტსმენები.

მალე სტარტს აიღებს მეტროპოლიტენის საავტობუსო სპარტაკიადი, რომელიც სამამული ომში ნაჭკოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნება.

ს. რამინიშვილი.

ორთაბრძოლა არ შედგა

დასასრული

შედეგი 375 კგ მოიპოვა და III ადგილის ბედი მხოლოდ პირადი წონის მიხედვით გადაწყდა. მესამე პრიზორი გახდა დიდი შეჯიბრებათა დებიუტანტი ა. ტროფიშენკო.

ჩემპიონობის საკითხი ხალიხსა და უსტიუჩინის ბოლო ცდებს უნდა გაერკვია. პირველმა, როგორც ჩანს, მეტისმეტი სიფრთხილე გამოიჩინა, როცა 207,5 კგ-ს აკერის შემდეგ მხოლოდ 2,5 კგ მოუმატა. საბოლოოდ ორჯერ მან 380 კგ დააკრვა. უსტიუჩინს გამარჯვებისთვის აკვრამი 222,5 კგ სჭირდებოდა. დასაწყისისთვის მან 215 კგ შეუკვია და, როცა დაბაზში მყოფთა უმრავლესობას გგონა, ამ წონას ადვილად დაძლეოვს, სწორედ მაშინ წაიფრთხილა. უსტიუჩინმა მეორედ შეუკვია შტანგას. იარაღი ამჯერად დამჯერე გამოდგა. ოქროს მედალის მოპოვების უკანასკნელი წონის 222,5 კგ იყო. უსტიუჩინმა ეს წონა დაძლია და პირველად გახდა სსრკ-ში ჩემპიონი.

აქვს თუ არა ზღვარი ძალოსანთა რეკორდებს? ასეთ კითხვას ხშირად სვამენ ძალოსანობის მოყვარულები; თვითონ ათლეტები კი მათ ასე უპასუხებენ: სადაღაც შორს, პოინტონტს მივბრუნდებით. სილო სინამდვილე გვიჩვენებს, რომ მოყვარულები როგორც ვერ გვეუბნებიან ისეთ გამოთქმებს, როგორცაა ზღვარი ან რეკორდების ჭეშრით. ძალოსანები სულ ასაღ და ასაღ საზღვრებს იპყრობენ. ერთ დროს სპორტსმენებისთვის აკვრამი სასომო იყო 200 კგ, ახლა კი ამ წონას თავისუფლად ძლიერ საშუალო კატეგორიის შემომე წონის ძალოსანები, ხოლო პლანეტის ყველაზე ღონიერი ადამიანმა ვ. ალექსეევმა 241 კგ აკრა. ეს იყო გოლიათთა შერჯინების ბოლო აქორდი, თვით ალექსეევის მესამე რეკორდი.

სანამ შეჯიბრებაზე ვიტყვოდეთ რამეს, უნდა მოგასხსნოთ, რომ ვერც თბილისში შედგა შესანიშნავი საბჭოთა ძალოსანების ლ. ჟაბოტინსკისა და ვ. ალექსეევის „დასწრებული“ ორთაბრძოლა. შეჯიბრების დაწყებამდე სპეციალისტები არცთუ უსაფრთხოდ ფიქრობდნენ, რომ ამ დღეს აუცილებლად დამარცხდებოდა რეკორდები. ეს იმედი დაკავშირებული იყო ალექსეევისა და ჟაბოტინსკის სახელებთან. რეკორდები მართლაც დამარცხდა, მაგრამ, როგორც მოგასხსნეთ, ორი ცნობილი ათლეტის შეხვედრა არ შედგა. ჩასათვლელ ცდაზე ალექსეევმა 240 კგ აკრა, მანამდე კი ატაცში 180 კგ ჰქონდა წარუხები. მან 420 კგ დააკრვა, რაც მისთვის მსოფლიო რეკორდზე 2,5 კილოგრამით უკეთესია.

რაც შეეხება ჟაბოტინსკის, როგორც ცნობილი გახდა, მას მწვრთნელთა საბჭო ურჩია არ აჩვენებულყოფი და კარგად მომზადებულიყო ვეროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც ერთი თვის შემდეგ იტალიაში გაიმართება. იქ კი ნამდვილად შესვდიან ერთმანეთს ის და ალექსეევი, მაგრამ ეს იქნება შეხვედრა არა სპორტული მეტოქეებისა, არამედ გუნდის ინტერესებისთვის მებრძოლი ორი გოლიათისა.

შემომე წონის სხვა ათლეტებიდან უნდა გამოვყოთ რ. პლიუგუნი და მისი მოწაფე ა. ენალიძე, რომელმაც ალექსეევის შემდეგ ორჯერ II ადგილი დაიკავა.

ამრიგად, ხუთდღიანი ბრძოლის შემდეგ თბილისის ცირკის ფიჯიანზე ხუთი მსოფლიო რეკორდი იწვა. შეჯიბრების ალმის დაშვება მიუხედავად იმისა, ვეროპის, სსრკ-ისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ვ. ალექსეევს.

ა. ცირიპი,

საერთაშორისო კატეგორიის მსახი.

ა. მხიძიძე.



საბჭოთა კავშირში შედარებით ახალი სახეობაა, მაგრამ მან უკვე დიდი მოპოვებები მოიპოვა ახალგაზრდებს შორის. ამჟამად საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით მონაწილეობენ უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში. მათ უკვე მსოფლიოს და ევროპის რეკორდებიც აქვთ დამყარებული.

რვა წლის წინათ V კლასის მოსწავლე თ. სამოტი ლენინგრადის სამხედრო-სახლკარო ბავშვის აუზს პირველად ეწვია, რათა ცურვაში დაეწყო მეცადინეობა. სამი წლის შემდეგ იგი უკვე პირველთა რიგისა-

ნი იყო. მაგრამ შემდეგ მისმა მიღწევებმა იკლო. მწვრთნელებმა იგი „უპერსპექტივოდ“ ჩათვალეს და კინაღამ სპორტული ჯგუფიდანაც გარიცხეს. მაშინ გოგონამ წყალქვეშ სწრაფცურვაში დაიწყო ვარჯიში და სამი თვის შემდეგ სპორტის ოსტატი გახდა. ახლა ინსტიტუტის ტრენინგში II კურსის სტუდენტი თ. სამოტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრკ-ის ნაკრების წევრი, ევროპის შეჯიბრებათა პრიზორი, მსოფლიო რეკორდსმენი ფარფლეთი სწრაფცურვაში.

სურათზე: თ. სამოტი, ვ. ვალაქტიონოვის ტექსტი და ფოტო.

უამინდობის მიუხედავად

გუმიწინ თბილისის ასალ ველოტრეკზე ჩატარდა სპორტულთა საკავშირო ჩემპიონატის II ეტაპის წინასწარი შეჯიბრებები. გამოვლინდა ექვსი ფინალისტი, რომლებიც გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს.

ჩვენ უკვე ვწვრდით, რომ სპორტულთა ჩემპიონატი წლეულს სამ ეტაპად ტარდება. I ეტაპი ამ ერთი თვის წინათ ლენინბადაში გაიმართა. თბილისის ტური ერთგვარი საშუალოდ ეტაპია, რომელიც ესტაფეტის სიმსუბუთის დედაქალაქს გადასცემს. იქ კი ივლისში უკვე ცნობილი გახდება სსრკ-ის აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა.

მეგრედინალების შემდეგ უძლეუ-

რეთა ექვსეულში მოხვდნენ ს. კრავცოვი (ლინაპო, ხარკოვი), ა. იაბლონოვსკი (შეიარაღებული ძალები, კიშინიოვი), ვ. ტრიფონოვი („დინამო“, კუბინოვი), ვ. კულრაშვიცი (პროფკავშირების ნაკრები, აშხაბადი), ა. ჯორინინი („დინამო“, მოსკოვი) და ლენინბადის ტურში გამარჯვებული ვ. კოპილოვი (შეიარაღებული ძალები, ტულა).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კოპილოვი, კულრაშვიცი და ჯორინინი უძლეურობა ექვსეულში დამატებით სერიებში გამარჯვების შემდეგ მოხვდნენ. ფაქტობრივად შორის საუკეთესო დრო აჩვენა ს. კრავცოვი — 10,7.

შეჯიბრების დღეს თბილისში ქარიანი ამინდი იდგა და ველოსიპედისტებს, ცხადაც, გაუჭირდათ მაღალი შედეგების ჩვენება. სპორტში უამინდობას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ველოსიპედისტი ბოლო 200 მეტრზე მაინც ასვრებს მაქსიმალური სისწრაფის განვითარებას. პროგრამის სხვა სახეობებში კი (გიტში, გუნდურ და ჯგუფურ რბოლებში ამსახავერი შეჯიბრებები ჩატარდა) ქარის სიძლიერე აშკარად საგრძნობი იყო.

და მაინც, გუნდური რბოლა 4 კმ-ზე საინტერესოდ მიმდინარეობდა. საქართველოს სპორტსმენთა გარდა, ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისში სტუმრად მყოფმა პოლონეთისა და ბულგარეთის ველოსიპედისტებმა, სსრკ-ის ნაკრები გუნდების წევრებმა. პოლონეთი წარმოდგენილი იყო სამი გუნდით, ბულგარეთი და სსრკ-ის — ორ-ორით.

აი, ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა (ვ. ივანოვი, პ. სტეცენკო, ვ. ფეტისოვი, ჯ. ბაქრაძე) I ადგილი დაისაჯურა — 4 კილომეტრის გავლას სულსტად 5 წუთი მოანდომა. დრო, როგორც ხედავთ, უამინდობის გამო არც ისე მაღალია, მაგრამ ქარი იმ დღეს ყველა გუნდისთვის ცუდი მოკავშირე იყო. ამიტომაც ფაქტობრივად დამარცხებას მართ ქარს ვერ დავაპრალბეთ.

II ადგილზე გავიდა სსრკ-ის ნაკრები — 5,02,0. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: პოლონეთი III — 5,02,5, სსრკ-ის ნაკრები II — 5,02,6, ბულგარეთი II — 5,05,0, პოლონეთი II — 5,07,9, პოლონეთი I — 5,08,8 და ბულგარეთი I — 5,23,0.

კილომეტრის გიტი პოლონელმა ბ. კოვტოტამ მოიგო — 1,11,1. ვ. სემენცის (სსრკ-ის ნაკრები) მეორე შედეგი ჰქონდა (1,12,1), დ. ანდრეუსის (ბულგარეთი) კი — მესამე (1,12,2).

ჯგუფური რბოლის პროგრამაში იყო 100 წრე, სტარტი 32 ველოსიპედისტმა აიღო, ფინიშთან კი მხოლოდ 19 მივიდა. რბოლა მოიგო სსრკ-ის ნაკრების წევრმა ბ. მალახოვმა. მომდევნო ადგილებზე მისი თანაგუნდელები — ს. გვორივი და ვ. სოლოღოვი გავიდნენ.

5. ახვლედიანი.

„ჩვენს ულკის, მთავრობას ულკის“

წინა დღეებში დაწინაურდა მელნიკი — ეს სახელები მძლეოსნობის მოყვარულებს ძალიან ბევრს ეუბნება. ამ სპორტსმენებს არაერთხელ დაუწყებიათ საკავშირო და მსოფლიო რეკორდები. დღეობის მიღწევებმა საგრძნობლად გაუსწრო დროს და საერთაშორისო სარბიულზე საბჭოთა მძლეოსნების აღიარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ნ. დუმბაძე აქტიური სპორტიდან შეიღდი წლის წასული იყო, როცა ვ. მელნიკმა პირველად აიღო ბადრო ხელში. ახლა ის ღირსეულად აგრძელებს ტყორის საბჭოთაო სკოლის ტრადიციებს. დუმბაძე და მელნიკი სარბიულზე ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან, სავარაუდოდ სახეობის — ბადროს ტყორცის შეხახებ არ უსაუბრიათ... და აი, უურნალმა „ლიოკაია ატლეთიკამ“ მარტის ნომერში, რომელიც მთლიანად ქალთა მძლეოსნობის პრობლემებს მიეძღვნა, ეს ორი გამოჩენილი სპორტსმენი ერთმანეთს თავის ფურცლებზე შეხვედრა. მეტად საინტერესოა მათი დაუსწრებელი დიალოგი, რომელშიც მკითხველი გაეცნობა ჩვენში სპორტის ამ სახეობის განვითარების ისტორიას, რეკორდსმენების სპორტულ მიღწევებს.

ЛЕГКАЯ З. 1974 амплемика

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ СПОРТИВНО-МЕТОДИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

თა საიდუმლოებებს, გაიგებს, რა არის დღეს საჭირო ბადროს ტყორცში საერთაშორისო შედეგების მისაღწევად. დუმბაძეს საინტერესო ფაქტები მოჰყავს. როცა მელნიკი ეკითხება, რამ შეგიშალათ ხელი 60-მეტრიანი ზღვარის გადალახვაში, იგი უპასუხებს, ღირსეული მეტოქეები არ მყავდა, რეკორდებს მარტო მე ვუტყვდი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე კი წინსვლა ძნელია. მკითხველი ამ საუბარში გაეცნობა მელნიკის გეგმებსაც, შეიტყობს, რომ მსოფლიოს ახლანდელ რეკორდსმენს წლეულს 70-მეტრიანი ზღვარის გადალახვა გაუნუზრავს. მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ

უახლოეს წლებში რეკორდი 75 მეტრამდე ავიდეს. უურნალმა დიალოგი დაბეჭდილია სათაურით — „ჩვენს შორის, ჩემპიონებს შორის“.

უურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია საერთაშორისო სარბიულზე საბჭოთა სპორტსმენთა ქალთა წარმატებების ამსახველი მასალები, ცნობები სპორტის ოსტატ ქალთა რეკორდისა და შარშან საკავშირო რეკორდების ზრდის შესახებ. აქვე წაიკითხავთ წერილს, რომელშიც ახსენილია ბოლო წლებში საბჭოთა მძლეოსანი ქალების უკან დახევის მიზეზები.

საინტერესოა სპორტის ოსტატ ლ. ბოროდინას ნარკვევი „ვინა ხარ შენ, ელვირა ოზოლინა?“

უურნალი გვაცნობს ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელ ქალებს, სხვადასხვა სახეობაში ქალთა წვრთნის მეთოდებს. გამოქვეყნებულია 1973 წლის შედეგების მიხედვით სსრკ-ის ნაკრების 25 საუკეთესო მძლეოსანი ქალის, 10-10 ქალიშვილისა და გოგონას სიები.

უურნალის რედაქციამ ქალთა მძლეოსნობის პრობლემებისადმი სპეციალური ნომრის მიძღვნილი კარგი საქმე გააკეთა.

საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი

20 პენსი ავტობიოგრაფიისთვის

წილისური ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ჯ. გრეისი ახლა იმ გუნდში გამოდის, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობს და ახსანაგურ მატჩებს მართავს. გულშემატკივრებს ჯერ არ დაეწყებათ გრეისი და მის თამაშებს ესწრებიან, თანაც,

ბევრი მათგანი წარსულის სახელოვან სინაპერს ავტობიოგრაფიას სთხოვს. გრეისი უარს არ ამბობს, მაგრამ გულშემატკივრებს თავისებურ მოთხოვნას უყენებს: ისინი მას ავტობიოგრაფი 20 პენსს უხდებიან.

რომ გუნდებს უჭირთ შორ მანძილზე მგზავრობა და ამიტომ ამ ქვეყანაში მხოლოდ შტატების ჩემპიონატები ეწყობა.

ესტრალიის ფეხბურთის ფედერაციის გალაყვებულებით, 1975 წლიდან ჩატარდება ეროვნული ჩემპიონატი. ახლა ფედერაცია უმაღლესი ლიგის შემადგენლობას აკომპლექტებს.